

**სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ**

**2012 წლის 10 აპრილს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა**

**• გაბრიელიანი სომხეთის წინააღმდეგ – განაცხადი №8088/05**

აპლიკანტი არტაკ გაბრიელიანი სომხეთის მოქალაქეა, დაიბადა 1938 წელს და ცხოვრობს ერევანში. იგი იყო სომხეთის წამყვანი ოპოზიციური პარტიის აქტივისტი. 2004 წლის 8 აპრილს დააპატიმრეს ერევანში საავტორიტარო ბუკლეტების დარიგებისთვის, რომლითაც მოსახლეობას მოუწოდებდა საპროტესტო აქციაზე მისვლისაკენ. იგი გაასამართლეს მთავრობის ძალადობით დამხობის მოწოდებებისათვის და ერთწლიანი პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლეს. განმცხადებელი ჩივის, რომ სახელმწიფოს მხრიდან დანიშნულმა ადვოკატმა ვერ აღმოუჩინა შესაბამისი სამართლებრივი დახმარება, განსაკუთრებით იგი მიუთითებდა იმაზე, რომ მისი ადვოკატი არ შეხვდა მას განცალკევებით სასაუბროდ. ასევე, არ მიეცა საშუალება მონაწილეობა მიეღო ბრალდების მოწმის ჯვარედინ დაკითხვაში. ბატონი გაბრიელიანი ჩივის, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I და III ნაწილების მოთხოვნები.

*სასამართლომ დაადგინა, არ დარღვეულა რომ კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი საქმის სამართლიანი განხილვის ნაწილში მე-6 მუხლის III ნაწილის „c“ ქვეპუნქტთან მიმართებაში (სამართლებრივი დახმარება).*

*სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი საქმის სამართლიანი განხილვის ნაწილში მე-6 მუხლის III ნაწილის „d“ ქვეპუნქტთან მიმართებაში (მოწმის დაკითხვის უფლება). სამართლიანი დაკმაყოფილების სახით სახელმწიფოს განმცხადებლის სასარგებლოდ დაეკისრა 2.500 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 1.600 ევროს გადახდა ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.*

**• ჰაკობიანი და სხვები სომხეთის წინააღმდეგ – განაცხადი №34320/04**

აპლიკანტები სომხეთის მოქალაქეები არიან. ზოგიერთი ცხოვრობს ქალაქ არმავირში, ზოგი კი - სოფელ ნაირსა და ნალბანდიანში. ისინი არიან ერთ-ერთი წამყვანი ოპოზიციური პარტიის წევრები. 2004 წლის მარტსა და აპრილში განმცხადებლები დააპატიმრეს და მიუსაჯეს 7-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა, რათა არ მიეღოთ მონაწილეობა ერევანში გამართულ საპროტესტო გამოსვლებში. განსაკუთრებით ისინი მიუთითებენ კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევაზე. ამას გარდა, განმცხადებლები ჩივიან, რომ მათ მიმართ ასევე დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლი, რადგან მათი დაკავება იყო უკანონო და თვითნებური, ხოლო მათ წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები იყო ფალსიფიცირებული. ადმინისტრაციული წესით საქმის განხილვისას განმცხადებლებს არ ჰქონდათ საკმარისი დრო და შესაძლებლობა პროცესისთვის მოსამზადებლად, რაც მათი აზრით წარმოადგენს კონვენციის მე-6 მუხლის III ნაწილის „b“ ქვეპუნქტის დარღვევას. და ბოლოს, განმცხადებლები მიუთითებდნენ ასევე კონვენციის მე-7 ოქმის II მუხლის დარღვევაზე (სისხლის სამართლის საქმის გასაჩივრების უფლება).

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-11 მუხლი, მე-5 მუხლის I ნაწილი, მე-6 მუხლის I ნაწილი საქმის სამართლიანი განხილვის ნაწილში მე-6 მუხლის III ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტთან მიმართებაში და მე-7 ოქმის მე-2 მუხლი. თითოეული განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 7.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად და 7.000 ევროს გადახდა ერთობლივად ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

- **ლორენცეტი იტალიის წინააღმდეგ – განაცხადი №32075/09**

აპლიკანტი პიეტრო ლორენცეტი დაიბადა 1963 წელს და ცხოვრობს სირაკუზაში. ის ექიმია. 2000 წლის 19 დეკემბერს იგი დააპატიმრეს თაღლითობის გამო, რომელიც მან თავის საავადმყოფოში ჩაიდინა. ის მოათავსეს წინასწარი დაკავების საკანში იმ საფუძველით, რომ მის წინააღმდეგ არსებობდა მნიშვნელოვანი მტკიცებულება, კერძოდ, იყო ეჭვი, რომ იგი იღებდა ხელფასს სამუშაოს შესრულების გარეშე. ბატონმა ლორენცეტმა ეს ბრალდება გაასაჩივრა და იგი გაამართლეს. განმცხადებელი ჩიოდა „უსამართლო“ პატიმრობის გამო კომპენსაციის მიღების თაობაზე. კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩიოდა, რომ მის წინააღმდეგ წარმოებული სასამართლო განხილვები არ იყო საჯარო.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი სააპელაციო სასამართლოში საქმის საჯაროდ განუხილველობის გამო. განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 2.500 ევროს გადახდა ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

- **Bar-Bau Sp. z o. o. პოლონეთის წინააღმდეგ – განაცხადი №11656/08**

განმცხადებელი სამშენებლო კომპანიაა და დარეგისტრირებულია ვარშავაში. კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე მისი საჩივრის უარყოფის თაობაზე, რომელიც ეხებოდა კომპანიის დირექტორისა და მისი ერთადერთი აქციონერის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის განხილვას. უმთავრესად განმცხადებელი მიუთითებს, რომ კანონის მოთხოვნის შესაბამისად სააპელაციო საჩივრის დასაშვებობსათვის სვალდებულო ამომწვიურავი მოთხოვნების სია და სააპელაციო საჩივრის სავარაუდო თვითნებური განხილვები არღვევდა მის უფლებას სასამართლოსადმი ხელმისაწვდომლობის კუთხით.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი. განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 4.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

**• ანდრეევა რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი №73659/10**

აპლიკანტი მარია ანდრეევა რუსეთის მოქალაქეა, დაიბადა 1918 წელს და ცხოვრობს პეტერბურგში. იგი ფლობს სსრკ-ს ობლიგაციებს, რომლებიც გამოშვებულია 1982 წელს. 1986 წელს შეიტანა საბანკო დეპოზიტზე. კონვენციის პირველი ოქმის I მუხლზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის, რომ მიუხედავად სასამართლოს 2003 წლის გადაწყვეტილებისა, რომლითაც აღიარებული იყო მისი ვალი 3.185 რუბლის ოდენობით, მან ვერ შეძლო, სახელმწიფოსგან მიეღო ეს თანხა.

*სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის პირველი ოქმის I მუხლი. განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 4.300 ევროს გადახდა მატერიალური და არამატერიალური ზიანის ასანახლაურებლად.*

**• შჩებეტოვი რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი №21731/02**

აპლიკანტი ანატოლი შჩებეტოვი რუსეთის მოქალაქეა, დაიბადა 1972 წელს და დაპატიმრებამდე ცხოვრობდა იაკუტსკში. ქურდობისა და ყაჩაღობის ბრალდების გამო რამდენიმე წლით ციხეში ყოფნის შემდეგ, 2005 წლის აპრილში იგი კვლავ გაასამართლეს და მიუსაჯეს 9 წლიანი პატიმრობა დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ყაჩაღობის გამო. 1998 და 2002 წლებში ციხეში, დროებითი დაკავების იზოლატორში ყოფნისას, მას ჩაუტარდა სამედიცინო გამოკვლევა, რა დროსაც დადგინდა, რომ იგი დაავადებული იყო ტუბერკულოზით და შიდსით, მაშინ, როცა ადრეული სამედიცინო გამოკვლევებით, რომელიც 1997 წელს ჩაუტარდა, იგი სრულიად ჯანმრთელი იყო. კონვენციის მე-2 მუხლზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის, რომ ტუბერკულოზითა და შიდსით იგი დაავადდა ციხეში პატიმრობის პერიოდში.

*სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-2 მუხლი.*

**• იუჰას დიურიჩი სერბეთის წინააღმდეგ – განაცხადი 48155/06**

აპლიკანტი ვიკტორ იუჰას დიურიჩი სერბეთის მოქალაქეა, დაიბადა 1966 წელს. იგი საადვოკატო საქმიანობას ეწევა და ცხოვრობს სუბოტიცაში (სერბეთი). განაცხადის თანახმად, რომელიც მან 2006 წელს შეიტანა სერბეთის წინააღმდეგ, სასამართლომ 2011 წლის ივნისის განჩინებით დაადგინა, რომ მის მიმართ კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი არ დარღვეულა. ბატონი დიურიჩი აცხადებდა, რომ სერბეთის მთავრობამ უგულვებელყო სამართალი თავის განჩინებაში, რომელსაც შესაძლოა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მისი საქმის შედეგზე და შესაბამისად, სასამართლოს რეგლამენტის მე-8 მუხლის თანახმად მოითხოვა განჩინების გადასინჯვა.

*სასამართლომ უარყო განმცხადებლის მოთხოვნა საქმის გადასინჯვის თაობაზე.*

- **ვული გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ – განაცხადი №28019/10**

აპლიკანტი რაიმონდ ვული ბრიტანეთის მოქალაქეა, დაიბადა 1953 წელს და ამჟამად დაპატიმრებულია. სახელმწიფოს შემოსავლების სამსახურის მოტყუებისათვის 2002 წლის დეკემბერში იგი გაასამართლეს და მიუსაჯეს 9-წლიანი პატიმრობა. 9 მილიონი ბრიტანული ფუნტის კონფისკაციის ორდერი გაიცა მისი ბრალდების საფუძველზე. 2005 წლის თებერვალში იგი გადაიყვანეს ღია ტიპის ციხეში, საიდანაც გაიქცა შვეიცარიაში. 2008 წლის ივნისში იგი დააპატიმრეს ბრიტანეთის ხელისუფლების წარმომადგენლების მოთხოვნით. შვეიცარიისა და ბრიტანეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის შედგა დიპლომატიური კომუნიკაცია, რომელიც ეხებოდა ბატონი ვულის სასჯელის მოხდას კომპენსაციის სახით თანხის გადაუხდელობასთან დაკავშირებით. 2009 წლის მარტში იგი ექსტრადირებულ იქნა დიდ ბრიტანეთში დარჩენილი პატიმრობის მოსახდელად. კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის, რომ მას წარუდგინეს არა მხოლოდ ის ბრალდებები, რომლის გამოც იგი ექსტრადირებული იყო, არამედ – სხვა ბრალდებებიც. შესაბამისად, იგი მიიჩნევს, რომ დარჩენილი პატიმრობის მოხდისა და ამის შემდგომი პატიმრობა იყო უკანონო.

*სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილი.*

## **ანალოგი საქმეები**

- **დიმიტარ ვასილიევი ბულგარეთის წინააღმდეგ – განაცხადი №10302/05**

აპლიკანტი დიმიტარ ვასილიევი ბულგარეთის მოქალაქეა, დაიბადა 1982 წელს და ამჟამად სასჯელს იხდის პლოვდივის ციხეში. კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილსა და მე-13 მუხლზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის, რომ მისის სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ქურდობის ბრალდების გამო იყო აღძრული, გაჭიანურებით მიმდინარეობდა – 2001 წლიდან 2007 წლამდე. ამას გარდა, იგი ჩივის, რომ მის მიმართ ასევე დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის IV ნაწილი, რადგან, მეორე საქმე, რომელიც მის წინააღმდეგ აღიძრა ყაჩაღობისა და თაღლითობის გამო, ადგილობრივმა სასამართლოებმა 28 დღის განმავლობაში არ გამოიტანეს მის მიერ შეტანილი სასამართლომდე პირობით გათავისუფლების მოთხოვნა. შემდგომში იგი ჩიოდა, რომ ადგილობრივმა სასამართლოებმა ვერ უზრუნველყვეს კომპენსაციის გაცემა, მისი წინასწარი გათავისუფლების მოთხოვნის განუხილველობის გამო, რითაც მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის V ნაწილი. და ბოლოს, განმცხადებელს მიაჩნია, რომ ასევე დარღვეული კონვენციის მე-8 და მე-13 მუხლები, რადგან პლოვდივის ციხის ადმინისტრაცია ჩხრეკდა ნებისმიერ მიმოწერას, რომელიც მასსა და მის ადვოკატს შორის იყო.

*სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი, მე-5 მუხლის IV და V ნაწილები, მე-8 მუხლი და მე-13 მუხლი მე-6 მუხლის I ნაწილთან მიმართებაში.*

- *ქონალიძე რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი №44038/05*
- *პელია რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი №16869/08*
- *რუსკის რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი №44595/05*

წარმოდგენილ საქმეებში განმცხადებლები ჩივიან კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილისა და პირველი დამატებითი ოქმის I მუხლის დარღვევის თაობაზე, ასევე აღსრულების გაჭიანურების თაობაზე.

*სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლი.*